

15/05/2024



MES 0 24 0000524206

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 23.04.2024

სხდომის დაწყების დრო: 15:00

სხდომის დასრულების დრო: 17:32

სხდომის თავმჯდომარე: გოჩა თუთბერიძე

სხდომის მდივანი: ციური დურული

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27²-ე მუხლის მე-13 საფუძველზე, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

- 1. გოჩა თუთბერიძე** - შპს ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;
- 2. გიორგი ლაღანიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
- 3. ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის დამფუძნებელი;
- 4. აკაკი ხელაძე** - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი;
- 5. ციური დურული** - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სხდომის მდივანი;
- 6. თამარ ტუფინაშვილი** - შპს "ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის" აკადემიური მიმართულების ხელმძღვანელი;
- 7. ხათუნა თოდაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით, ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
- 8. ვასილ კიკუტაძე** - შპს "აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის" ბიზნესის და ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი;
- 9. დიანა მჭედლიშვილი** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი;

10. ქეთევან ნანობაშვილი - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" ბიზნესისა და ტექნოლოგიების დეკანი, პროფესორი;

11. ნინო ჭალაგანიძე - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებული პროფესორი;

12. ქეთევან ქუთათელაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;

13. მაგდა ბოლოთაშვილი - სსკ - საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატის გენერალური დირექტორის მოადგილე, დამსაქმებელი;

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის(შემდგომში-ცენტრი) წარმომადგენლები:

1. **ლალი ოდიშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
2. **თამთა ანთიძე** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტი

- ქეთევან ჯინჭარაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
- რუსუდან ციციშვილი - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ლიბერალური განათლების სკოლის დეკანი;
- თამარ ვაშაკიძე - პროგრამის ხელმძღვანელი.

სსიპ- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

- ზაალ ქორთუა - პროგრამის ხელმძღვანელი;
- ლევან ჯიქია - პროგრამის ხელმძღვანელი;
- ქეთევან ლატარია- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.

შპს კავკასიის უნივერსიტეტი

- ნუგზარ სხირტლაძე - ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო დარგში;
- მარიამ ოქრუაშვილი - კავკასიის მედიცინის სკოლის დეკანი;
- ზვიად კირტავა - პროგრამის ხელმძღვანელი;
- გიორგი მახარაშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი.

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

- გიორგი მახარაშვილი - პრორექტორი ადმინისტრაციის დარგში;
- ნინო ჯოჯუა - პრორექტორი ხარისხის დარგში;
- მაია ჩქოტუა - ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი

შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

- კახაბერ კორძაია - უნივერსიტეტის რექტორი;

- მარინა გედევანიშვილი - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი,
- მარინე ხიზანიშვილი - ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი;
- გიორგი კაკაშვილი - ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის თანახელმძღვანელი.

სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

- ტრისტან გულბიანი - რექტორი;
- გიორგი ზუბიტაშვილი - ფიზიკური აღზრდისა და სპორტის (მწვრთნელი) სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი;
- მაია ხურცილავა - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

შპს საქართველოს უნივერსიტეტი

- არჩილ ჯანგირაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- თინათინ ლუდუშაური - ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დირექტორი;
- ალექსანდრე ჭულუხაძე - პროგრამის ხელმძღვანელი

აკრედიტაციის ექსპერტები

1. ნინო პოპიაშვილი - I საკითხი;
2. მერაბ ჭუმბურიძე - II საკითხი;
3. თამარ გოდერიძე - III საკითხი;
4. მარიამ კილანავა - IV საკითხი;
5. ნანი არაბული - V საკითხი;
6. ხათუნა საგანელიძე - VI საკითხი;
7. დარეჯან გარდავაძე - VII საკითხი.

აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გოჩა თუთბერიძემ. ამავე მუხლის საფუძველზე, სხდომის თავმჯდომარის დავალებით, სხდომის მდივნის ფუნქციების შესრულება დაევალა საბჭოს წევრს, ციური დურულს.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 15:00 საათზე

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის “ადმოსავლეთმცოდნეობის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა.
2. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის “ქართული ფილოლოგიის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა.
3. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ისტორიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა.
4. შპს კავკასიის უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა.
5. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ინგლისური ფილოლოგიის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა.
6. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა.
7. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ფიზიკური აღზრდის და სპორტის (მწვრთნელი)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- კი

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა, ლალი ოდიშვილმა აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე შუამდგომლობა დააყენა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით, კერძოდ, განსახილველად წარმოადგინა შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის №01/89 (ცენტრში რეგისტრაციის - №455123) წერილით წარმოდგენილი შუამდგომლობა. საბჭოს სხდომაზე დამსწრე აკრედიტაციის საბჭოს წევრებმა აღნიშნული შუამდგომლობა დააკმაყოფილეს.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის განხილვა (№01/89 (ცენტრში რეგისტრაციის - №455123))
2. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის “ქართული ფილოლოგიის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა.
3. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ისტორიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა.
4. შპს კავკასიის უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა.

5. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ინგლისური ფილოლოგიის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა.
6. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა.
7. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ფიზიკური აღზრდის და სპორტის (მწვრთნელი)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა.
8. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ადმოსავლეთმცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხროციელელებული გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

1. **პირველი საკითხი:** შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის განხილვა (დაწესებულების წერილი №01/89 (ცენტრში რეგისტრაციის - №455123)).

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა წარადგინა შუამდგომლობა, რომელიც ეხებოდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2024 წლის 22 აპრილს შემოსულ კორესპონდენციას. შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი, საქართველოში №01/89 (ცენტრში რეგისტრაციის - №455123) წერილით ითხოვდა განმარტებას „საჯარო პოლიტიკა და მმართველობის“ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 5 მაისის № 582280 გადაწყვეტილებით განსაზღვრულ 1 წელში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებას. მისი განმარტებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 5 მაისის № 582280 გადაწყვეტილებით „საჯარო პოლიტიკა და მმართველობის“ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2024 წლის 31 დეკემბრამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ მე-20 მუხლის მე-16 პუნქტის საფუძველზე, აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამა ხელახალი აკრედიტაციის მიზნით, ცენტრში განაცხადი უნდა წარმოდგინონ 2024 წლის პირველი მაისის ჩათვლით, ხოლო საბჭოს რეკომენდაციების შესრულების ანგარიში კი 2024 წლის 05 მაისს.

ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრებს განუცხადა, რომ ზემოხსენებულ საკითხთან დაკავშირებით ცენტრის მოკლებულია შესაძლებლობას საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრებისაგან დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება.

სხდომის თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს არსებობის შემთხვევაში წარმოდგინათ მათი მოსაზრება, თუნცა ხდომავზე დანსწრე ევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომავზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო:15:10

დასრულების დრო: 15:15

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრავზე დააყენა: შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის „საჯარო პოლიტიკა და მმართველობის“ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამავზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 5 მაისის № 582280 გადაწყვეტილებით განსაზღვრულ 1 წელში რეკომენდაციების შესრულების თაობავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულების მოხსნა.

აკრედიტაციის დებულების შესაბამისად, სააკრედიტაციო განაცხადი ცენტრში დაწესებულებებმა უნდა წარადგინონ 2024 წლის 01 მაისის ჩათვლით, 05 მაისს 2023 წელს გაცემული რეკომენდაციების შესრულების ესახებ ცალკე ანგარიშის წარმოდგენა აღარ არის ვალიდური, რადგან აღნიშნული საკითხის შესწავლა სიღრმისეულად შესაძლებელი იქნება თავად რეაკრედიტაციის პროცესში.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კორესპონდენციის, ზეპირ მოსმენავზე გამოვლენილი გარემოებების შეჯერების შედეგად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ მე-20 მუხლის მე-16 პუნქტის საფუძველზე, შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის „საჯარო პოლიტიკა და მმართველობის“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელახალი აკრედიტაციის მიზნით, ცენტრში სააკრედიტაციო განაცხადის 2024 წლის 01 მაისის ჩათვლით წარმოდგენის შემთხვევაში, მიზანშეწონილად არ იქნეს მიჩნეული, 2024 წლის 05 მაისს შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის, საქართველოში მიერ წარმოდგენილ იქნეს აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 5 მაისის № 582280 გადაწყვეტილებით განსაზღვრული საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში.

საბჭოს სხდომას შემოუერთდა მაგდა ბოლოთაშვილი.

2. მეორე საკითხი: შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის “ქართული ფილოლოგიის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამავზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა.

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ქართული ფილოლოგია

საფეხური - ბაკალავრიატი

სწავლების ენა - ქართული

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ქართული ფილოლოგიის ბაკალავრი

დეტალური სფეროს კოდი - 0232 ლიტერატურა და ლინგვისტიკა

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებასა და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინათ პოზიცია.

ექსპერტმა ნინო პოპიაშვილმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის “ქართული ფილოლოგიის” საბაკალავრო პროგრამას განესაზღვრა ათი რეკომენდაცია და თორმეტი რჩევა. დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნებიდან გამომდინარე რეკომენდაციები ეხებოდა პროგრამის სტრუქტურის რედაქტირებას. დაწესებულებამ ყველა რეკომენდაცია შეასრულა და პროგრამამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, კერძოდ, დაემატა ახალი სასწავლო კურსები, დაზუსტდა სასწავლო მიზნები და შედეგები და სხვ. მან ასევე განმარტა, რომ რჩევების უმრავლესობა გათვალისწინებულია დაწესებულების მიერ, ხოლო დარჩენილი ნაწილი რჩევების გათვალისწინებისათვის საჭიროა ერთ წელზე მეტი ვადა. წარმოდგენილი ინგორმაციის საფუძველზე შესაძლებელი დავასკვნათ, რომ დარჩენილი რჩევების გათვალისწინებისათვის ყველა საჭირო ქმედება განხორციელების ეტაპზეა და შესაბამისად, შესრულებული იქნება მომავალში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენლებმა მადლობა გადაუხადეს ექსპერტს გაწეული სამუშაოსთვის და განაცხადეს, რომ მზად არიან კითხვების არსებობის შემთხვევაში უპასუხონ საბჭოს წევრების შეკითხვებს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ვასილ კიკუტაძემ დამაზუსტებელი შეკითხვით მიმართა ექსპერტს. იგი დაინტერესდა, თუ რატომ მოხდა სწავლის პირველი ორი დონის გამოტოვება ინგლისურ ენასთან დაკავშირებით და რატომ იყო გამახვილებული ყურადღება მხოლოდ განმტკიცების ნაწილში.

ექსპერტის განმარტებით, ქართული ფილოლოგიის დარგის სპეციფიკიდან მომდინარეობს, B1 დონეზე ინგლისურის შესწავლა სავალდებულოა.

საბჭოს წევრი, ციური დურული დაინტერესდა რჩევასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვით, სასურველია, პროგრამის განხორციელებაში მონაწილე ყველა აკადემიური თანამდებობის პირი, რომელიც კითხულობს ქართული ფილოლოგიის დარგობრივ სასწავლო კურსებს, ფლობდეს შესაბამის აკადემიურ ხარისხს, ან/და უდასტურდებოდეს უახლესი კვლევები და

პუბლიკაციები დარგთან მიმართებით; საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რა იყო აღნიშნული რჩევის გაცემის მიზეზი.

ექსპერტის განმარტებით, პერსონალის ნაწილს არ უდასტურდებოდა სამეცნიერო კვალიფიკაცია, რამაც გამოიწვია ამ რჩევის გაცემის საჭიროება. გარდა ამისა, დარგში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პუბლიკაციებს. კერძოდ, რჩევა ეხებოდა ორ აკადემიური პერსონალის, რომლებიც არიან სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები, შესაბამისად, არსებული ვითარება კანონთან შესაბამისი იყო. თუმცა უმჯობესი იქნებოდა აკადემიური ცენზი, რჩევის სახით იყო გათვალისწინებული.

საბჭოს წევრი, აკაკი ხელაძე დაინტერესდა იმავე რჩევასთან დაკავშირებით. ხომ არ ყოფილა შემთხვევა/ დადასტურება, რომ პერსონალი აკადემიური ცენზის გარეშე, ვერ გადიოდა სწავლის შედეგებზე.

ექსპერტის განმარტებით, აღნიშნულ საკითხთან მიმართებით არ ყოფილა რაიმე სახის ხარვეზი/შენიშვნა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:26

დასრულების დრო: 15:29

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის “ქართული ფილოლოგიის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27⁶ -ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2¹¹ პუნქტის საფუძველზე, შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის “ქართული ფილოლოგიის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

3. მესამე საკითხი: სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ისტორიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა.

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ისტორია

საფეხური - ბაკალავრიატი

სწავლების ენა - ქართული

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ისტორიის ბაკალავრი

დეტალური სფეროს კოდი - 0222 ისტორია და არქეოლოგია

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცხადი

- არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებასა და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინათ პოზიცია.

ექსპერტი მერაბ ჭუმბურიძე მიესალმა საბჭოს წევრებს და სხდომაზე დამსწრე პირებს. მან ისაუბრა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემულ რეკომენდაციებისა და რჩევებზე. პირველი სტანდარტთან მიმართების გაცემული იყო რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა მიზანში ფორმულირებულ წინადადებას, სადაც საჭირო გახდა ტერმინოლოგიური ცვლილებები, რაც დაწესებულების მიერ შესრულებული იქნა. კერძოდ მიზანში მითითებულ ფრაზაში ტერმინი „რეპრეზენტაცია“ ჩანაცვლებული იქნა ტერმინით „რეკონსტრუქცია“. რაც შეეხება 1.5 კომპონენტის მიმართ გაცემული იყო ორი რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა სასწავლო კურსების სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურის განახლებასა და სამი სასწავლო კურსის სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურის რიცხვი შემცირებას საგნის კრედიტების შესაბამის გონივრულ რაოდენობამდე. აღნიშნული რეკომენდაციები მეტწილად შესრულებული იქნა დაწესებულების მიერ.

მეოთხე სტანდარტის 4.4 კომპონენტის რეკომენდაციები ეხებოდა საბიბლიოთეკო, წიგნადი ფონდის უახლესი ქართული და უცხოურენოვანი დარგობრივი ლიტერატურით განახლებას. დაწესებულების ანგარიშში არ ჩანდა რომელი სილაბუსის ლიტერატურა განახლდა, მაგრამ შეძენილია წიგნები ბოლო ორი წლის განმავლობაში, შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულად ჩაითვა. 4.5 კომპონენტის რეკომენდაცია ეხებოდა ბიუჯეტში ხარჯების კონკრეტიკას, რაც დაწესებულებამ აღწერა და ექსპერტს წარუდგინა.

ექსპერტმა რჩევებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ 1.4 სტანდარტთან მიმართებით გაცემული იყო ორი რჩევა, რომლებიც დაწესებულების მიერ სრულყოფილად შესრულდა. 1.5 კომპონენტთან რჩევებიდან პირველი შეეხო აფხაზეთისა და სამეგრელოს ისტორიისა და კულტურის კურსის ცალკე შეთავაზებას, ასევე ცალკე კურსად ჩამოყალიბებულიყო ბიზანტიის ისტორია ან სხვა კურსის ნაწილში დაფარულიყო შესასწავლი მასალა. ინგლისურ ენასთან დაკავშირებით ლიტერატურული განახლება გახდა საჭირო. სამივე რჩევა გათვალისწინებული იქნა დაწესებულების მიერ, რის შედეგადაც ჯამში დაემატა 16 ახალი ლიტერატურა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა საბჭოს წევრებს და დამსწრე პირებს, მან მადლობა გადაუხადა ექსპერტს გაწეული სამუშაოსთვის და აღნიშნეს, რომ ისინი სრულიად ეთანხმებიან ექსპერტთა პოზიციას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ციური დურულმა შეკითხვით მიმართა ექსპერტს. მისი შეკითხვა ეხებოდა ნუმისმატიკის სილაბუსს, რომელშიც რეკომენდაციის მიხედვით საჭირო გახდა ლიტერატურის შემცირება. საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რა იყო რეკომენდაციის გაცემის მიზეზი.

ექსპერტმა განმარტა, რომ სავალდებულო ლიტერატურა ითვალისწინებდა რამდენიმე ისეთ სახელმძღვანელოს, რომელიც ფარავს ერთი და იგივე მასალას. დღესდღეობით არსებობს ისეთი სახელმძღვანელოები, რომლებიც ნუმისმატიკას ამომწურავად მოიცავს. აქედან გამომდინარე, სტუდენტთა მარტივი ორიენტირებისთვის, უკეთესი იქნებოდა ლიტერატურის შემცირება. ამ ლიტერატურის გადატანა უფრო გონივრული იქნებოდა არჩევით ან დამატებით ლიტერატურაში.

საბჭოს წევრის, დიანა მჭედლიშვილის შეკითხვა შეეხო ლიტერატურის განახლებას. დაწესებულების მიერ განახლებულ ლიტერატურაში მითითებულია 2002 წლის გამოცემა და რეკომენდაცია შესრულებულად ჩაითვალა. საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ რატომ ჩაითვალა ასეთი ძველი ლიტერატურა განახლებულად. ასევე, მეექვსე რეკომენდაციასთან დაკავშირებით ტექნიკური ხარვეზი ზომ არ იკვეთებოდა

ექსპერტმა პირველ შეკითხვასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში უახლესი ლიტერატურა სწორედ 2002 წლისაა. მეორე შეკითხვასთან დაკავშირებით კი განიმარტა, რომ რეკომენდაცია შეეხო მეოთხე სტანდარტს. ორი რეკომენდაცია განიხილებოდა ამ სტანდარტთან მიმართებით, ერთი კლასტერული იყო, ხოლო მეორე პროგრამებთან მიმართებით. ორივე შემთხვევაში ემსახურებოდა ბიბლიოთეკის განახლებას, რაც დაწესებულების მიერ შესრულდა.

საბჭოს წევრის, ვასილ კიკუტაძის შეკითხვა ეხებოდა მეხუთე სტანდარტს, ხარისხის უზრუნველყოფის მონიტორინგის შესახებ. შეკითხვა მიემართებოდა ორივე მხარეს, რათა საბჭოს დაედგინა თუ რა ხარვეზები არსებობდა ხარისხის უზრუნველყოფასთან მიმართებით. ექსპერტის განმარტებით, ეს რეკომენდაცია არც ექსპერტთა ჯგუფის მიერაა გაცემული და არც საბჭოს მიერ, შესაბამისად, დაწესებულების განმარტება იყო საჭირო.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ტექნიკური ხარვეზია ამ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, ვინაიდან ეს რეკომენდაცია ამოღებული იქნა საბჭოს მიერ.

საბჭოს წევრის, გიორგი ლაღანიძის შეკითხვა ეხებოდა პროგრამის დაფინანსებას. იგი დაინტერესდა დაფინანსების წყაროებით და სამომავლოდ პროგრამის ფინანსური მდგრადობით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამა მრავალ პროექტშია ჩართული, ფინანსდება გრანტებით, რაშიც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ევროკავშირის გრანტებს. გარდა ამისა, უნივერსიტეტი მუშაობს ახალი ფინანსების მოძიებისთვის, რომ უფრო განვითარდეს, რაც ნაწილობრივ უზრუნველყოფს მის მდგრადობას. გარდა ამისა, სტაბილური შემოსავლის სახით უნივერსიტეტი ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:59

დასრულების დრო: 16:02

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ისტორიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^ბ -ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2¹¹ პუნქტის საფუძველზე, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ისტორიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

4. მეოთხე საკითხი: შპს კავკასიის უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა.

**საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - დიპლომირებული მედიკოსი
საფეხური - ერთსაფეხურიანი
სწავლების ენა - ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - დიპლომირებული მედიკოსი
დეტალური სფეროს კოდი - 0912 მედიცინა**

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

**აცილება განაცხადეს დიანა მჭედლიშვილმა და ქეთევან ნანობაშვილმა;
აცილების მიზეზი: შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.**

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებასა და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

**მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინათ პოზიცია.**

ექსპერტი, თამარ გოდერიძე მიესალმა საბჭოს წევრებს და სხდომაზე დამსწრე პირებს. მან ისაუბრა აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემულ 7 რეკომენდაციასა და 18 რჩევაზე. მისი განმარტებით, დაწესებულებამ ყველა რეკომენდაცია და სამი რჩევა გაითვალისწინა და შეასრულა. პირველი რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა მცირე უზუსტობას კომპეტენციების რუკის მოდელის და სილაბუსების შესაბამისობას, დაწესებულების წარმომადგენლების მიერ აღმოფხვრილია. მეორე რეკომენდაციით სავალდებულო ლიტერატურა განახლდა და ძველი ჩანაცვლდა უახლესი ლიტერატურით. მესამე რეკომენდაცია ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის და სხვა თანამედროვე მეთოდების შეფასების

მეთოდების გამოყენებას მოითხოვდა სწავლის შედეგების კომპეტენციების შეფასებასთან დაკავშირებით, ძირითადად კლინიკური საგნების ჭრილში, რაც ინსტიტუციამ სრულად დააკმაყოფილა. მეოთხე რეკომენდაცია ეხებოდა ყველა სწავლის შედეგის და კომპეტენციის შეფასებას სასწავლო კურსებში, რაც თითოეულ სასწავლო კურსის სილაბუსში გაიწერა. მეხუთე რეკომენდაცია ყველა სილაბუსის შეფასების მეთოდის რაოდენობის გადახედვას შეეხო კურსის ხანგრძლივობის მიხედვით, რომელიც ასევე რამდენიმე კურსს ეხებოდა, ინსტიტუციამ გადახედა აღნიშნულ ხარვეზს და გამოასწორა. მეექვსე რეკომენდაცია ეხებოდა საგანმანათლებლო საქმიანობაში ჩართულ ყველა კლინიკასთან გაფორმებული ხელშეკრულება წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო დიპლომირებული მედიკოსის ქართულენოვან პროგრამაში. ამ შემთხვევაშიც, ჩამონათვალი სახეზეა და დამოწმებულია რეკომენდაციის პირობების მიხედვით. მეშვიდე რეკომენდაცია ლაბორატორიის გადაკეთებას ეხებოდა, რომ ლაბორატორია გამოსადეგი ყოფილიყო პრაქტიკისა და ტრენინგებისათვის და აღჭურვილიყო შესაბამისად. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ბოლო რეკომენდაციაც შესრულებულია.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა გიორგი მახარაშვილმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს გაწეული სამსახურისთვის. იგი სრულიად დაეთანხმა ექსპერტის მიერ წარდგენილ ანგარიშის დასკვნას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს და თხოვა, რომ დაეზუსტებინათ კლინიკურ საგნებში გამოცდების რაოდენობა სემესტრულად. ასევე, საბჭოს წევრი დაინტერესდა, გამოცდები მოდულის დასრულების შემდეგ ინიშნება, თუ სემესტრის განმავლობაში და არსებული რესურსი რამდენად საკმარისია გამოცდებისთვის. ხაზი გაესვა შეფასების სისტემას.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით ძირითადად გამოიყენება რეკომენდაციით გათვალისწინებული ოსკის შეფასების სისტემა. თითოეულ საგანზე არსებული შეფასების სისტემა შეესაბამება საგნის სპეციფიკას. ფინალური გამოცდები ოსკის მოდელითაა აგებული, რომელიც კურსის ბოლოს ტარდება.

სხდომის თავმჯდომარის, გოჩა თუთბერიძის კითხვა ექსპერტს მიემართებოდა. შეკითხვა რჩევებს შეეხო, თუ რა განსხვავებაა იმ რჩევებს შორის, რომლებიც წარმოდგენილია ფორმულირებით „მიზანშეწონილია“ და „სასურველია“.

ექსპერტის განმარტებით, რადგანაც რჩევები სხვადასხვა ექსპერტის მიერაა გაცემული, ივარაუდება, რომ არსებული ფორმულირება მათი პოზიციის მიხედვითაა შერჩეული. დიფერენციაცია, რომ რომელიმე მათგანი უფრო ახლოსაა რეკომენდაციასთან, ვერ იქნება მართებული.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:16

დასრულების დრო: 16:20

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს კავკასიის უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^ბ -ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2¹¹ პუნქტის საფუძველზე, შპს კავკასიის უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

5. მეხუთე საკითხი: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ინგლისური ფილოლოგიის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა.

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ინგლისური ფილოლოგია

საფეხური - საბაკალავრო

სწავლებისენა - ინგლისური

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრი

დეტალური სფეროს კოდი - 0231 ენის დაუფლება

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება

- დიახ

აცილება განაცხადა დიანა მჭედლიშვილმა და ქეთევან ნანობაშვილმა;

აცილების მიზეზი: შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებასა და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინათ პოზიცია.

ექსპერტი, მარიამ კილანავა მიესალმა საბჭოს წევრებს და დამსწრე პირებს. მან აღნიშნა რომ აკრედიტაციის საბჭოს მიერ პროგრამასთან მიმართებით გაცემული იყო 5 რეკომენდაცია და 4 რჩევა. რეკომენდაციები მოიცავდა შემდგომს: მკაფიოს განსაზღვრულიყო მისაღწევი მხოლოდ ერთი დონე, რაც გაითვალისწინა დაწესებულებამ. აღნიშნული შინაარსობრივად მესამე რეკომენდაციას უკავშირდება, რომლის მიხედვითაც, პროგრამის შედეგების პირდაპირი შეფასების მექანიზმები უნდა გადახედულიყო ინგლისური ენის კომპეტენციის დამადასტურებელი შედეგების შეფასების კუთხით. ინსტიტუციამ წარმოადგინა შესრულებული რეკომენდაციები შესაბამისი დოკუმენტაციის სახით. მომდევნო რეკომენდაცია

კურსის შემუშავებას და ჩამატებას შეეხო, რომელიც „ინგლისური ბიზნესისა და ტურიზმისთვის“ იქნებოდა ორიენტირებული. დაწესებულებამ წარმოადგინა ხუთკრედიტიანი კურსის სილაბუსი. მომდევნო რეკომენდაცია დარგობრივი ინგლისური ლიტერატურის ისტორიის ამსახველი საკითხებით გამრავალფეროვნებას გულისხმობდა, რაც ინსტიტუციამ პროგრამის სილაბუსის და დოკუმენტაციის სახით წარმოადგინა. შემდეგი რეკომენდაცია უცხო ენების კურსების კრედიტთა შესაბამის გადანაწილებას მოითხოვდა, რაც ასევე შესრულებულია დაწესებულების მიერ. რჩევებიდან გათვალისწინებულია ერთი რჩევა, რიცხობრივი მაჩვენებლის დამატების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს გაწეული სამსახურისთვის. იგი სრულიად დაეთანხმა ექსპერტის ანგარიშის დასკვნას. მისი განმარტებით, რჩევების ნაწილზე, რომელიც არ იქნა გათვალისწინებული მიმდინარე ეტაპისათვის მოითხოვს დამატებით დროს. შესაბამისად, დაწესებულება აპირებს რჩევების გათვალისწინებას დროთა განმავლობაში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:28

დასრულების დრო: 16:33

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ინგლისური ფილოლოგიის" ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27⁶ -ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2¹¹ პუნქტის საფუძველზე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ინგლისური ფილოლოგიის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

6. მეექვსე საკითხი: შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა.

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ინფორმაციული ტექნოლოგიები

საფეხური - საბაკალავრო

სწავლების ენა - ქართული

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაკალავრი

დეტალური სფეროს კოდი - 0612 მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

აცილება განაცხადა ნინო ჭალაგანიძემ

აცილების მიზეზი: შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებასა და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მეექვსე საკითხისზეპირიმოსმენა

ექსპერტებისპოზიციისგანხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა პოზიცია.

ექპერტი, ნანი არაბული მიესალმა საბჭოს წევრებს და დამსწრე პირებს. მან განმარტა, რომ აკრედიტაციის საბჭოს მიერ პროგრამასთან მიმართებით გაცემული 11 რეკომენდაციის შესახებ, რომლებიც ინსტიტუციის მიერ სრულად იქნა შესრულებული.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულებამ რეკომენდაციების შესრულებისთვის პროგრამის განახლება მოახდინა. სექტემბრისთვის თითოეული ხარვეზი აღმოფხვრილი იყო სტანდარტების შესაბამისად და დაწესებულებამ განახლებულ პროგრამაზე მიიღეს სტუდენტები. დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს, ვინაიდან არსებული რეკომენდაციები დაწესებულებისთვის მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:36

დასრულების დრო: 16:40

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^ბ -ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2¹¹ პუნქტის საფუძველზე, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

საბჭოს სხდომა დატოვა ქეთევან ნანობაშვილმა.

7. მეშვიდე საკითხი: სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ფიზიკური აღზრდის და სპორტის (მწვრთნელი)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა.

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ფიზიკური აღზრდა და სპორტი (მწვრთნელი)

საფეხური - სამაგისტრო

სწავლებისენა - ქართული

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - სპორტის მაგისტრი

დეტალური სფეროსკოდი - 1014 სპორტი

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებასა და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინათ პოზიცია.

ექსპერტის, ხათუნა საგანელიძის განმარტებით, შესწავლილი დოკუმენტების მიხედვით დაწესებულების მიერ რეკომენდაციათა უმეტესობა შესრულებულია, თუმცა პრობლემად რჩება ინფრასტრუქტურის საკითხი. რადგანა, არსებობს ხელშეკრულებები ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის, ექსპერტის გადაწყვეტილების მიხედვით შეფასდა მეტწილად შესრულებულად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს შეფასებისთვის. წარმომადგენელმა ისაუბრა ინფრასტრუქტურული პრობლემების შესახებ. მისი განმარტებით გამოყოფილია ფართი, რომელშიც შეფასების პერიოდში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები. მიმდინარედ სწორედ ამ სივრცეში ხორციელდება სწავლება. არსებობს

ხელშეკრულები სხვადასხვა სპორტულ სივრცეებთან, სადაც მიმდინარეობს სწავლებები. აღნიშნული საკითხი წარმოადგენს დისკომფორტს სტუდენტებისთვის და აკადემიური პერსონალისთვის. თუმცა, ეს პრობლემა 2025 წლისთვის აღმოიფხვრება. მარკეტინგული საკითხიც პრობლემატურია, რადგან უნივერსიტეტი ცდილობს სტუდენტების მოზიდვას. მიუხედავად ამისა, მაგისტრატურის საფეხურზე მხოლოდ 3 სტუდენტისთვის მოხერხდა ადგილების გამოყოფა, რაც შეუძლებელს ხდის მრავალი ღონისძიების გატარებას სტუდენტთა სიმცირის გამო. რეკომენდაციები მნიშვნელოვნად დაეხმარა დაწესებულებას წინსვლისთვის. 2025 წლისთვის იგეგმება მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული განვითარება. დანგრეულია შენობა, მოძიებულია ინვესტორი, არსებობს პროექტიც. აშენდება 10000 კვადრატული მეტრის შენობა, რომელიც აღიჭურვება შესაბამისი ინფრასტრუქტურით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრის, გიორგი ლაღანიძის შევითხვა მიემართებოდა დაწესებულებას. იგი დაინტერესდა, არსებობდა თუ არა მაგისტრატურის კურსი ფეხბურთის ტაქტიკის შესახებ, რომელიც სპეციალიზაციის მეორე ნაწილია.

პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, ტექნიკაც და ტაქტიკაც შერეულად ისწავლება სამი სემესტრის განმავლობაში, ანუ, სამი კურსი ეთმობა სპეციალიზაციას. კურსები მოიცავს პრაქტიკასაც და თეორიასაც.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება დაწყების დრო: 16:49 დასრულების დრო: 17:14

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ფიზიკური აღზრდის და სპორტის (მწვრთნელი)" სამაგისტრო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27⁶ -ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2¹¹ პუნქტის საფუძველზე, სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ფიზიკური აღზრდის და სპორტის (მწვრთნელი)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

8. მერვე საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის "აღმოსავლეთმცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხრციელებული გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - აღმოსავლეთმცოდნეობა

საფეხური - საბაკალავრო

სწავლების ენა - ქართული

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ახლო აღმოსავლეთის კვლევების ბაკალავრი

დეტალური სფეროს კოდი - 0388 ინტერდისციპლინური - მოიცავს სოციალურ მეცნიერებებს, ჟურნალისტიკას, ინფორმაციის მართვა

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებასა და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მერვე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინათ პოზიცია.

ექსპერტი, დარეჯან გარდავაძე მიესალმა საბჭოს წევრებს და სხდომაზე დამსწრე პირებს. მან განმარტა, რომ 2022 წელს პროგრამამ შეიცვალა კვალიფიკაცია და წარმოდგენილი კვალიფიკაციაა „ახლო აღმოსავლეთის კვლევების ბაკალავრი“. გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში განხორციელდა ვიზიტი და ინტერვიუები, რამაც დაადასტურა, რომ პროგრამა სტანდარტებთან შესაბამისობაშია. კვალიფიკაციის ცვლილებასთან დაკავშირებით, პროგრამა ან ჰუმანიტარულ მეცნიერებების მიმართულებით უნდა დარჩენილიყო, მხოლოდ ენების განხრით, ან გადასულიყო სოციალური მეცნიერებების დარგში, რომელიც შინაარსს შეუნარჩუნებდა პროგრამას, აქედან გამომდინარე განხორციელდა პროგრამის კვალიფიკაციის ცვლილება. დაწესებულებას ამ ცვლილებისას მოუწევდა სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების საგნების გამლიერება, რაც ნამდვილად განხორციელდა მათ მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენლები სრულიად დაეთანხმნენ ექსპერტთა პოზიციას. მათ მადლობა გადაუხადეს ექსპერტებს, რომ სწორად იქნა აღქმული ექსპერტთა მიერ არსებული ვითარება. პროგრამა თავიდანვე იყო რეგიონმცოდნეობის შესახებ და ნამდვილად არ იყო ფილოლოგიის და ენათმეცნიერული ხასიათის. შესაბამისად, ცვლილება მხოლოდ უკეთესობისკენ იყო მიმართული. დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ გარე დაკვირვება დაწესებულებისთვის ფუნდამენტური მნიშვნელობისაა, რადგან ბოლო მონიტორინგის შემთხვევაშიც, მოხდა მნიშვნელოვანი ხარვეზების აღმოფხვრა და პროგრამის კიდევ უფრო დახვეწა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17:27

დასრულების დრო: 17:31

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს საქართველოს უნივერსიტეტის “აღმოსავლეთმცოდნეობის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს საქართველოს უნივერსიტეტის “აღმოსავლეთმცოდნეობის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა დასრულდა 17:32 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს წევრი
დურული ციური



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
თუთბერიძე გოჩა

